მოწვევა
ინტერესთა გამოხატვაზე

დავით აღმაშენებლის სახელობის ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის
დაბადების დღის აღსანიშნავი ღონისძიების მოწყობის თაობაზე

* * * * * *

შპს "საქართველოს აეროპორტების გაერთიანება" დავით აღმაშენებლის სახელობის ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის დაბადების დღის აღსანიშნავი ღონისძიების მოწყობის მიზნით იწვევს დაინტერესებულ პირებს, წარმოადგინონ აეროპორტის მგზავრებზე ორიენტირებული შეთავაზება, რომელიც შესაძლოა მოიცავდეს სხვადასხვა მრავალფეროვან და კრეატიულ აქტივობას, რომელიც შექმნის სადღესასწაულო განწყობას მგზავრებისთვის და მათთვის მოგზაურობას უფრო მოულოდნელს, კომფორტულს და სასიამოვნოს გახდის. აქტივობები, შეთავაზებები მაქსიმალურად მორგებული უნდა იყოს მგზავრზე და შესაძლოა ასოცირდებოდეს დაინტერესებული პირის ბრენდთან. შესაბამისად, შპს "საქართველოს აეროპორტების გაერთიანება" იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს, გამოხატოს ინტერესი დავით აღმაშენებლის სახელობის ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში დაბადების დღის აღსანიშნავი ღონისძიების მოწყობის თაობაზე.

---

ყველა შეკითხვა უნდა გაიგზავნოს შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე:
business@airports.ge

---

დაინტერესებული პირის მიერ განცხადება წარმოდგენული უნდა იქნას ელექტრონული სახით შემდეგ ელექტრონულ მისამართზე : business@airports.ge;

---

გამოქვეყნების თარიღი: 15 ოქტომბერი, 2025 წელი

# დავით აღმაშენებლის სახელობის ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში დაბადების დღის აღსანიშნავი ღონისძიების მოწყობის თაობაზე ინტერესთა გამოხატვის პირობები

2025 წელი

**შესავალი**

დავით აღმაშენებლოს სახელობის ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი, რომელიც სიდიდით მეორე აეროპროტს წარმოადგენს საქართველოში, 2024 წელს, 2 მილიონამდე მგზავრს მოემსახურა. რეისები ძირირთადად ევროპის ქალაქების მიმართულებით სრულდება და მგზავრებისთვის წარმოადგენს მთავარ კარიბჭეს ევროპაში. 2025 წლის ოქტომბერში აეროპორტი აღნიშნავს დაბადების დღეს და ეს მნიშვნელოვანი თარიღი გვსურს მგზავრებისთვის დასამახსოვრებელ გამოცდილებად იქცეს. აღსანიშნავია, რომ აეროპორტის მგზავრის პროფილს წარმოადგენენ ძირითადად 25-34 წლის მოგზაურები, რომელთა უმეტესი ნაწილი მოგზაურობს მეგობრებთან და ოჯახის წევრებთან ერთად, ძირითადად ტურისტული მიზნით. ფსიქოგრაფიული სეგმენტაციის თვალსაზრისით, აეროპორტის სეგმენტს, წარმოადგენენ ე.წ Easygoing Enthusiasts - ახალგაზრდა მოგზაურები, რომელთათვისაც მოგზაურობა განტვირთვად აღიქმება და მნიშვნელობას ანიჭებენ აეროპორტში სასიამოვნო გარემოს, პოზიტიურ განწყობებსა და უსაფრთხოებას. მათი მოტივაცია უსაფრთხო, მშვიდი და ბედნიერი მოგზაურობაა. დაინტერესებულ პირებს ექნებათ შესაძლებლობა, შესაბამისი აქტივობებით, მგზავრისთვის ასოცირდნენ მოგზაურობასთან და მასთან დაკავშირებულ პოზიტიურ ემოციასთან.

**ტერმინების განმარტება:**

წინამდებარე დოკუმენტში მოცემულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა, თუ კონტექსტიდან ან პირდაპირი მითითებიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს:

- **„აეროპორტების გაერთიანება“** – შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანება“ (ს/კ 404 389 693);
- **„აეროპორტი“**– დავით აღმაშენებლის სახელობის ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი;
- **„დაინტერესებული პირი“** - ფიზიკური ან სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირებული კერძო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც წინამდებარე ინტერესთა გამოხატვის დოკუმენტის საფუძველზე, წერილობით დააფიქსირებს მოთხოვნას და წარმოადგენს კომერციულ წინადადებას ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში, აეროპორტის დაბადების დღის ღონისძიების მოწყობის თაობაზე.
- **„შერჩეული პირი“** - ფიზიკური ან სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირებული კერძო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც წინამდებარე ინტერესთა გამოხატვის დოკუმენტის საფუძველზე, მოიპოვებს არაექსკლუზიურ უფლებამოსილებას, ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის დაბადების დღის ღონისძიების მოწყობის თაობაზე, წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრული წესით.

1. **ინტერესთა გამოხატვის მიზანი**

1.1 წინამდებარე ინტერესთა გამოხატვის ფარგლებში, “აეროპორტების გაერთიანება” მიზნად ისახავს აეროპორტის მგზავრებისთვის პოზიტიური განწყობისა და დასამახსოვრებელი გამოცდილების შექმნას, რომელიც განსაკუთრებულს გახდის თითოეული მოგზაურობის დასაწყისსა თუ დასასრულს.

1.2 წინამდებარე ინტერესთა გამოხატვის პირობები, თითოეულ დაინტერესებულ პირს აძლევს შესაძლებლობას წარმოადგინოს აეროპორტის დაბადების დღის ღონიძიების მოდელი, რომლითაც, მათ შორის, შესაძლებელია მოახდინოს /

გაზარდოს საკუთარი ბრენდის პოპულარიზაცია და გამოიყენოს შესაძლებლობა საკუთარი ბრენდისა თუ პროდუქციის ფართო, საერთაშორისო აუდიტორიისთვის გასაცნობად.

1.3 დაინტერესებული პირების მიერ შემოთავაზებული აქტივობები მაქსიმალურად მორგებული უნდა იყოს მგზავრზე და დაინტერესებულ პირს შესაძლებლობა აქვს აღნიშნული ასოცირდებოდეს მის ბრენდთანაც, გამოიყენოს მისი ბრენდის ელემენტები, მათ შორის, მასთან დაკავშირებული აქტივობები.

## 2. ქუთაისის აეროპორტის დაბადების დღის ღონიძიების მოწყობის თაობაზე წინადადების წარდგენის წესი

2.1. დაინტერესებულ პირებს აქვთ შესაძლებლობა შემოთავაზებული წინადადებით განსაზღვრული აქტივობები განაწილებული იყოს ერთ ან რამდენიმე დღეზე, 24-31 ოქტომბრის განმავლობაში (თარიღის/თარიღების შეთანხმება წინასწარ უნდა განხორციელდეს "აეროპორტების გაერთიანებასთან").

2.2. "აეროპორტების გაერთიანებისთვის", აეროპორტის დაბადების დღის ღონიძიების მოწყობის თაობაზე, განცხადებით მიმართვა შესაძლებელია, არაუგვიანეს, 2025 წლის 20 ოქტომბრის 00:00 საათამდე ვადაში.

2.3. აეროპორტის დაბადების დღის ღონიძიების მოწყობის თაობაზე დაინტერესებულმა პირმა, "აეროპორტების გაერთიანებას" შესაბამისი წინადადებით უნდა მიმართოს წერილობითი განცხადების ფორმით;

2.4. "დაინტერესებული პირი" ვალდებულია განცხადებასთან ერთად წარმოადგინოს ქუთაისის აეროპორტის დაბადების დღის ღონისძიების მოდელი (შეთავაზება) პრეზენტაციის სახით, აქტივობების დეტალური ჩამონათვალით და ჯამური დაგეგმილი ბიუჯეტის მითითებით. მათ შორის, კონკრეტული აქტივობის გამართვის მიზნით, აეროპორტის შეასბამისი დარბაზის/ლოკაციის მითითება (პირობითად გაფრენის სარეჟიმო ტერიტორია, ჩამოფრენის სარეჟიმო ტერიტორია, გაფრენის/ჩამოფრენის საერთო სივრცე);

2.5. "დაინტერესებული პირი" ვალდებულია განცხადება წარმოადგინოს შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: business@airports.ge. განცხადება მიღებულად ჩაითვლება "აეროპორტების გაერთიანების" მიერ ელექტრონული ფოსტის მიღების დადასტურების შემდეგ.

## 3. შერჩევის წესი

3.1. ინტერესთა გამოხატვის პირობების 2.2. პუნქტით გათვალისწინებული ვადის დასრულებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში, „აეროპორტების გაერთიანება" უზრუნველყოფს წარმოდგენილი წინადადებების შერჩევა-შეფასებას კომისიური წესით, წიანმდებარე პირობებით თავალისწინებული კრიტერიუმების შესაბამისად. შერჩევისათვის განსაზღვრულია კრიტერიუმები, რომელთა მიმართებითაც „აეროპორტების გაერთიანებას" წინასწარ განსაზღვრული აქვს მაქსიმალური მისანიჭებელი ქულა, ჯამში, 100 ქულის ფარგლებში.

3.2. მინიჭებული ქულების დაჯამების საფუძველზე, შესაძლებელია გამარჯვებულად გამოვლინდეს ერთზე მეტი დაინტერესებული პირი.

**3.3. შერჩევის კრიტერიუმებია:**

3.3.1. მგზავრზე ორიენტირებული აქტივობები - 50 ქულა;

3.3.2. წინადადების კრეატიულობა - 30 ქულა;

3.3.3. მგზავრების რაოდენობა, რომელზეც გათვლილია წარმოდგენილი შემოთავაზება - 20 ქულა.

3.4. კომისია გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით, წინამდებარე პირობების 3.3. პუნქტით განსაზღვრული შერჩევის კრიტერიუმების გათვალისწინებით. წინადადებების განხილვისას, კომისიის თითოეულმა წევრმა, თითოეულ პოზიციაზე, მაქსიმალური ქულა უნდა მიანიჭოს იმ „დაინტერესებულ პირებს“ რომლის წარდგენილი წინადადებაც კონკრეტულ კრიტერიუმთან მიმართებით, სხვა დაინტერესებული პირების მიერ წარდგენილ წინადადებებთან შედარებით უკეთესია. აღნიშულის შემდეგ, დაჯამდება თითოეული „დაინტერესებული პირისათვის“ მინიჭებული ქულები და „შერჩეულ პირებად“ გამოცხადდებიან ის ის „დაინტერესებული პირები“, რომლებიც ჯამურად დააგროვებენ 70 ქულაზე მეტს, რის შემდეგაც მათთან ფორმდება ხელშეკრულება.

## 4. ქუთაისის აეროპორტის დაბადების დღის ღონიძიების მოწყობის პირობები

4.1. ღონისძიების მოწყობასთან დაკავშირებით, მხარეებს შორის გაფორმდება სპონსორობის თაობაზე შეთანხმება, რომლითაც კონკრეტულად განისაზღვრება „აეროპორტების გაერთიანებასა“ და ყველა „შერჩეულ პირს“ შორის თანამშრომლობის ( სპონსორობის) ფარგლები.

4.2. ყველა „შერჩეული პირი“ ვალდებულია ხელშეკრულებით განსაზღვრული ღონისძიება მოაწყოს „აეროპორტების გაერთიანებასთან“ შეთანხმებული ფორმით. აგრეთვე, მას არა აქვს უფლება, წინამდებარე შეთავაზების საფუძველზე მიღებული არაექსკლუზიური უფლება, „აეროპორტების გაერთიანების“ წერილობითი თანხმობის გარეშე, გადასცეს სხვა პირს.

4.3. წინამდებარე პიროებების შესაბამისად, „აეროპორტების გაერთიანებასთან“ გაფორმებული ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში, ყველა „შერჩეული პირი“ ვალდებულია დაემორჩილოს საავიაციო უშიშროების სფეროში მოქმედ საერთაშორისო და ეროვნული საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების მოთხოვნებს. საკუთარი სახსრებით გაიაროს შესაბამისი სწავლება საავიაციო უშიშროების ნორმების დაცვის მიზნით და საჭიროების შემთხვევაში, მიიღოს კონტროლირებადი და შეზღუდული დაშვების დაცული ზონების საშვი. საეჭვო პირის, საგნის, ნივთის, ნივთიერების აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს საავიაციო უშიშროების სამსახურს.

4.4. ყველა „შერჩეული პირი“ ვალდებულია ღონისძიების მოწყობისთვის საჭირო საორგანიზაციო სამუშაოები აწარმოოს იმგვარად, რომ აეროპორტს ხელი არ შეეშალოს ოპერირებაში.

4.5. აეროპორტის ოპერირების შეუფერხებლად განხორციელების მიზნით,ყველა „შერჩეული პირი“ ვალდებულია ღონისძიების მოწყობისთვის საჭირო საორგანიზაციო სამუშაოების წარმოებისას გაითვალისწინოს „აეროპორტების გაერთიანების“ მითითებები.

**დანართები:**

პრეზენტაცია აეროპორტის შესახებ

აეროპორტის ნახაზი

აეროპორტის ფოტოები

აეროპორტის მგზავრის პროფილი